ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4204678

ნომერი: AR1634483

თარიღი : 02.10.2018

გაცემის თარიღი : 05.10.2018

გაცნობის თარიღი : 10.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა ნუშის ბაღების , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : N648234
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.04.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

მოიყვანეთ ღობე შეთანხმებულ პროექტთან მიმართბაში საკადასტრო საზღვრების ფარგლებში ან საკითხი დააყენეთ ღობის გარეშე დადასტურებაზე.

წარმოდგენილ იქნას ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამოწმებული ავტოფარეხის და ბინაში შესასვლელი კარის გაბარიტების ნახაზები ზომებით, ასევე პანდუსის ნახაზები. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ჯდება დადგენილ ნორმებში, საჭირო იქნება მისი ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა და მხოლოდ ამის შემდგომ მომართვა

საჭიროა წარმოდენილი იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შენობის წილობრივი ამონაწერი (ამონაწერები) საჯარო რეესტრიდან (ან მიეთითოს წილობრივი საკადასტრო კოდი). იმ შემთხვევაში, თუ დარღვევების შედეგად იცვლება ფართი, რომელიც დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ამონაწერში, საჭიროა წარმოდგენილი იქნას მესაკუთრეების, მომავალი მესაკურეებისა და იპოთეკარის თანხმობა. ასევე, საჭიროა წარმოდგენილი იქნას ყადაღის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.